ხელშეკრულება N152
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 28 დეკემბერი 2020 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მერის ჯუმბერ ვარდმანიძის სახით და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი, მედდა ირმა ჯიჯავაძის (შემდგომში – „მიმწოდებელი“) სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 17 დეკემბრის N106 განკარგულების თანახმად, გამარტივებული შესყიდვის წესით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების“ ფარგლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლების - ერგეს, ზედა ჯოჭოს, ზედა განახლების, ხეღრუს, განახლების, სამების, ზედა ახალშენის, ყოროლისთავის, ზედა წინსვლის, წინსვლის, აგარას, კაპრეშუმის, განთიადის, ზედა თხილნარის, დავითაძეების, მახოს, სიმონეთის, თხილნარის მეურნეობის, ჭარნალის, ზედა ჭარნალის, კაპნისთავის, ქვედა ჩხუტუნეთის, ქედქედის, ჩიქუნეთის, სკურდიდის, კირნათის, ფერიის, ახალსოფლის, ავგიას, ცხემლარას, ზედა ჩხუტუნეთის მოსახლეობისათვის ექიმამდელი სამედიცინო მომსახურების მიწოდება (CPV კოდი 85141200) (SMP200005193).

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პროგრამის (შემდგომში-პროგრამა), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.
3.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3000 (სამი ათასი) ლარს.
4.2. „მიმწოდებლის“ მიერ, ერთი კალენდარული თვის განმავლობაში შესრულებული/გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს.
4.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს/მოსაკრებელს/სახდელს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.მომსახურების მიღება-ჩაბარება წარმოებს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, „მიმწოდებელი“ ვალდებულია წარუდგინოს „შემსყიდველს“ შესრულებული სამუშაოს ანგარიში.
5.2. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის 30 რიცხვამდე.
5.3 დეკემბრის თვის მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის 25 რიცხვამდე.
5.4 მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს „მიმწოდებელი“ და „შემსყიდველის“ უფლებამოსილი პირი.

6. ანგარიშსწორება

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება „შემსყიდველთან“ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. დეკემბრის თვის ანგარიშსწორება წარმოებს არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელივალდებულია:
7.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“;

7.1.2. დაიცვას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პროგრამისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობები, აგრეთვე „შემსყიდველის“ მიერ დადგენილი (მიღებული) მოთხოვნები (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);
7.1.3. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა სანიტარიული ნორმებისა და ეპიდრეჟიმის დაცვით;
7.1.4. მიმწოდებელი ვალდებულია შესაბამისი საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარადგინოს ,,შემსყიდველთან“ არაუგვიანეს შესრულებული სამუშაოს თვის 30 რიცხვისა;
7.1.5.უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" მომსახურების ღირებულების გარდა, არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა;
7.1.6. ოპერატიულად მიაწოდოს „შემსყიდველს“ ინფორმაცია, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევის შეფერხებას და/ან შეწყვეტას;
7.1.7. „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პროგრამის შესრულებას;
7.1.8. კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს იმ სოფლის ექიმის მითითებები და დავალებები, რომლის სამოქმედი არეალში ახორციელებს იგი ექიმამდელ სამედიცინო საქმიანობას:
7.1.9. მოსახლეობისათვის ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, აწარმოოს თემის მოსახლეობისათვის სამედიცინო-პროფილაქტიკური სახის ინფორმაციის მიწოდება და პრევენციული ღონისძიებების გატარება;
7.1.10. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს მოსახლეობისათვის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
7.1.11. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, სამედიცინო პრობლემათა დროული იდენტიფიკაცია და შეაფასოს პაციენტის ექიმებთან გაგზავნის საჭიროება;
7.1.12. კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს ქრონიკული და მწვავე დაავადებების მქონე პაციენტების, მათ შორის ინკურაბელური და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა მეთვალყურეობა;
7.1.13. უზრუნველყოს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის შაქრის განსაზღვრა სისხლში (ექსპრეს დიაგნოსტიკა);
7.1.14. კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს პალიატიური ზრუნვა;
7.1.15. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს ორსულთა მეთვალყურეობა;
7.1.16. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს მშობიარობის შემდგომ პერიოდში დედების და ახალშობილთა მეთვალყურეობა;
7.1.17. სისტემატიურად აწარმოოს სამედიცინო დოკუმენტაცია დადგენილი წესის შესაბამისად;
7.1.18. დროულად და ადეკვატურად მოახდინოს მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამებით მომსახურების სახეებისა და მოცულობის თაობაზე;
7.1.19. დაიცვას პაციენტის კანონიერი უფლებები და სამედიცინო ეთიკის ნორმები, ასევე უზრუნველყოს ინფორმაციის კონფინდენციალობა;
7.1.20. იზრუნოს პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე;
7.1.21. განახორციელოს პროგრამის ასიგნებათა ფარგლებში, მედიკამენტების მიღება დადგენილი წესისა და სათანადო მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე კვარტალში ერთხელ;
7.1.22. განახორციელოს პროგრამის ასიგნებათა ფარგლებში მიღებული მედიკამენტების აღწერა და ,,შემსყიდველისათვის" მათი ხარჯვის შესახებ ყოველთვიური ანგარიშის წარდგენა;
7.1.23. ,,მიმწოდებელი" პასუხისმგებელია ,,პროგრამის" ფარგლებში მიღებული მატერიალური ფასეულობების შენახვა - ხარჯვაზე და მისი ბრალეულობით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებაზე;

7.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
7.2.1. მიიღოს „შემსყიდველისაგან“ „პროგრამის“ მიხედვით შესრულებული მომსახურების საფასური;
7.2.2. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.
7.2.3. მოთხოვოს ,,შემსყიდველს” გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;
7.2.4.უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

7.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.3.1. პროგრამის და ამ ხელშეკრულების ფარგლებში, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული ექიმამდელი სამედიცინო მომსახურების საფასური;

7.3.2. მიაწოდოს დროულად ინფორმაცია მიმწოდებელს, სამართელბრივ აქტებში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მის საქმიანობასთან;
7.3.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
7.4.1. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
7.4.2. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებას;
7.4.3. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის ინსპექტირება და ინსპექტირების შედეგები ასახოს ინსპექტირების აქტში;
7.4.4. საჭიროების შემთხვევაში, „პროგრამით“გათვალისწინებული ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, მიიღოს (გამოსცეს) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა „მიმწოდებლისათვის“ იმ მოცულობით, რაც უკავშირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას. ამ პუნქტით გათვალისწინებული აქტის მიღება წარმოადგენს „შემსყიდველის“ უფლებას და არა ვალდებულებას;

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მხარეებს უფლება აქვთ ბრალეულ მხარეს მოთხოვონ ჯარიმის გადახდა 250 ლარის ოდენობით.
8.2 ინსპექტირების შედეგად ხელშეკრულებით ,,მიმწოდებელზე“ დაკისრებული მოვალეობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია გამოვლენიდან ათი დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს ,,მიმწოდებელს“ აღნიშნულის შესახებ და დამატებით მისცეს გონივრული ვადა მათ აღმოსაფხვრელად; წერილით განსაზღვრულ ვადაში ამ დარღვევის არ აღმოფხვრის შემთხვევაში ან/და იდენტური დარღვევის განმეორებით დაფიქსირების შემთხვევაში ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება ან/და დააჯარიმოს მიმწოდებელი ერთი კალენდარული თვის განმავლობაში შესრულებული/გაწეული მომსახურების ღირებულების 50%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
9.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;
9.1.2. მხარეთა შეთანხმებით;
9.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.2. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ინიციატორი მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას.
9.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, შეთანხმების მიღწევამდე.
9.4. „შემსყიდველს“ ცალმხრივად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:
9.4.1. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
9.4.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.5. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლების არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ვრცელდება 2021 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრამდე.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები ხელმძღვალელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით;

14.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას;

14.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია;

14.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების შესახებ, თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხისა და ფაქტების ერთობლივი შესწავლა და დადასტურება;

14.5 კონფიდენციალურობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

14.6 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ;

14.7. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ადასტურებს, რომ მხარეები ზედმიწევნით გაეცნენ ხელშეკრულების ყველა პირობას და სრულად ეთანხმებიან მათ.

15. მხარეთა დასახელება და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია
ტელ: (0422) 25-91-13, 25-93-27
მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის 23
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ს.კ. 248428385
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. № GE88LB0120166231817002

„მიმწოდებელი“

ფიზიკური პირი- ირმა ჯიჯავაძე
პირადი N61005006165
მობ: 557 00 19 29
მისამართი: ხელვაჩაური, სოფ. სკურდიდი
ბანკის დასახელება: ს.ს. ,,საქართველოს ბანკი”
ბანკისკოდი: BAGAGE22
ანგ. №GE39BG0000000304379900

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი
ჯუმბერ ვარდმანიძე

self governing unit of Khelvachauri municipality

Подписано цифровой подписью: self governing unit of Khelvachauri municipality
Дата: 2020.12.28 15:38:03 +04'00'

ფიზიკური პირი - მედდა
ირმა ჯიჯავაძე

Irma Jijavadze

Подписано цифровой подписью: Irma Jijavadze
Дата: 2020.12.28 12:23:14 +04'00'